

შპს ელ კომპანი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.....	6
4. შემოსავალი.....	7
5. სხვა ხარჯები.....	7
6. ძირითადი საშუალებები.....	7
7. არამატერიალური აქტივი.....	8
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	8
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	8
11. გადასახადები.....	8
12. მარაგები.....	9
13. ფინანსური შემოსავლები.....	9
14. ფინანსური ხარჯები.....	9
15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	9
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასება.....	11
16.1. შემოსავალი.....	11
16.2. სხვა ხარჯები.....	11
16.3. მარაგები.....	11
16.4. ძირითადი საშუალებები.....	12
16.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
16.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	13

შპს ელ კომპანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31/12/2024	01/01/2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	(6)	84684	92,253
არამატერიალური აქტივები	(7)	41000	57,400
სულ გრძელვადიანი აქტივები		125684	149,653
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(8)	685164	617,106
ფული და ფულის ეკვივალენტები	(10)	3435	62,135
მარაგები	(12)	137875	264,906
სულ მიმდინარე აქტივები		826474	944,147
სულ აქტივები		952158	1,093,800
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		543146	646,515
სულ საკუთარი კაპიტალი		543146	646,515
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები		233839	241,756
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		233839	241,756
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(9)	161605	180,462
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(11)	13568	25,067
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		409012	205,529
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		952158	1,093,800

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელს აწერს:

აითან მამამაძლე

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე-13.

შპს ელ კომპანი
 მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	(4)	2593615	2,931,160
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-867716	(882,945)
საერთო მოგება		1725899	2,048,215
მარაგების გაუფასურების ხარჯი		-16463	(13,969)
დასაქმებულთა ანაზღაურება		-831854	(680,769)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(6)	-11242	(7189)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	(7)	-16400	(16400)
საპროცენტო ხარჯი		-34929	(34,510)
იჯარის ხარჯი		-95770	(69,003)
სხვა ხარჯები	(5)	-318200	(339,627)
საოპერაციო მოგება		401041	886,748
ფინანსური შემოსავალი	(13)		0
ფინანსური ხარჯი	(14)	-71042	(58,293)
მოგება დაბეგვრამდე		329999	828,455
მოგების გადასახადის ხარჯი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		329999	828,455

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელს აწერს:

აითან მამულოვა

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელი ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე-13.

შპს ელ კომპანი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარიში)

	საწესდებოკაპიტალი	გაუნაწილებელიმოგება	მთლიანიკაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი		478,423	478,423
წმინდა მოგება		329999	828,455
გაცემული დივიდენდები		433368	660,363
2023 წლის 31 დეკემბერი	0	646,515	646,515

	საწესდებოკაპიტალი	გაუნაწილებელიმოგება	მთლიანიკაპიტალი
2024 წლის 1 იანვარი	0	646,515	646,515
წმინდა მოგება		329999	329999
გაცემული დივიდენდები		433368	433368
2024 წლის 31 დეკემბერი	0	543146	543146

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს და მისი სახელით ხელს აწერს:

აითან მამამაძოვა

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 6-13.

შპს ელ კომპანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელ კომპანი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 09/07/2014 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანი მე-7 მ/რ, კორპ. 15, ბ. 39. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა ადგილობრივ ბაზარზე.

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2024 წლის 31 დეკემბერი	2025 წლის 1 იანვარი
ელნურ მამუდაძე	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნულ ვალუტას, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ლარს.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

შპს ელ კომპანი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

4. შემოსავალი

ლარი	2024 წ.	2023 წ.
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	2,593,615	2,931,160
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	0	0
სულ შემოსავალი	<u>2,593,615</u>	<u>2,931,160</u>

5. სხვა ხარჯები

ლარი	2024წ.	2023 წ.
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	9814	6727
ბანკის საკომისიო	5270	5627
საკანცელარიო ხარჯი	7882	6309
რეკლამის და მიწოდების ხარჯი	77354	64784
სხვა საგადასახადო ხარჯი	10500	15327
ბუღალტრული მომსახურება	16800	16800
საწვავის ხარჯი	5111	4678
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	30890	89185
კლინიკაში ვიზიტის ხარჯი	20000	21900
საპენსიო შენატანი	8350	5950
მივლინების ხარჯი	7650	9270
დაზღვევის ხარჯი	3988	3071
სხვა საოფისე ხარჯი	55800	41690
სხვა ადმინისტრაციის ხარჯი	58791	48309
სულ სხვა ხარჯები	<u>318200</u>	<u>339627</u>

შპს ელ კომპანი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

6. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულებ ა 2023 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალები ს შემოსვლა	ძირითადი საშუალები ს გასვლა	ცვეთი ს ხარჯი	წმინდასაბალანსოღირებულე ბა 2023 წლის 31 დეკემბერს
ოფისის აღჭურვილობა	2,593	4,085	0	1,472	5,205
ავეჯი და სხვა ინვენტარი	821	0	0	353	468
სატრანსპორტოსაშუალებე ბი	1,058	91,944	5,363	1,059	86,580
სულ ძირითადი საშუალებები	4,472	96,028	5,363	2,884	92,253

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსოღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს
ოფისის აღჭურვილობა	5,205	3672	0	2047	6830
ავეჯი და სხვა ინვენტარი	468	0	0		468
სატრანსპორტოსაშუალებები	86,580			9194	77386
სულ ძირითადი საშუალებები	92,253	3672	0	11241	84684

შპს ელ კომპანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

7. არამატერიალური აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივი სრულად წარმოადგენს მომწოდებლებთან გაფორმებულ ექსკლუზიურ ხელშეკრულებებს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2024წ.	2023წ.
სავაჭრო მოთხოვნები	685,164	617,106
გადახდილი ავანსები	0	0
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>685,164</u>	<u>617,106</u>

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2024წ.	2023 წ.
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	161,605	180,462
მიღებული ავანსები	0	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>161,605</u>	<u>180,462</u>

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 1 იანვრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე.

შპს ელ კომპანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

11. გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ბარათზე ფიქსირდება დავალიანება 13,568 ლარის ოდენობით.

12. მარაგები

ლარი	2024 წ.	2023 წ.
გასაყიდად განკუთვნილი პროდუქცია	137,875	264,906
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	0	0
სულ მარაგები	137,875	264,906

13. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად.

ლარი	2024 წ.	2023 წ.
კურსთა შორის სხვაობა	0	0
მიღებული ფასდაკლება	0	0
სულ ფინანსური ხარჯი	0	0

14. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი, 71042 ლარი, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სრულად წარმოადგენს გაცემულ ფასდაკლებას.

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი

შპს ელ კომპანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

• საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის მიმართ სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,435	62,135
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	685,164	617,106
	688599	679,241

• ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისათვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	161,605	180,462
	161,605	180,462

• უცხოური ვალუტის რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები.

შპს ელ კომპანი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასება

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

16.1. შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება.

16.2. სხვა ხარჯები

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

16.3. მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

16.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი

შპს ელ კომპანი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

16.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

16.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.